



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 32
2022 წლის 11 თებერვალი
ქალაქი გორი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 23 დეკემბერს შემოსულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის N016036/18 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერს გონივრულ ვადაში, შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშით მოცემული შემდეგი რეკომენდაციები:
 - ა) შეისწავლოს, ემყარება თუ არა ა(ა)იპ-ის შექმნა რეალურ საჭიროებებს და რამდენად არის ცალკე იურიდიული პირის დაფუძნება და ფუნქციონირება საუკეთესო ალტერნატივა მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მისაწოდებლად;
 - ბ) განიხილოს მსგავსი ფუნქციებისა და მიზნების მქონე იურიდიული პირების კონსოლიდაციის შესაძლებლობა;
 - გ) ა(ა)იპ-ების საქმიანობის დაგეგმვის და მართვის პროცესში იხელმძღვანელოს ხარჯთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე;
 - დ) იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდება დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია, წინასწარ დაგეგმოს რეორგანიზაციის მიზნები/ამოცანები და უზრუნველყოს მათი შესრულება;
 - ე) შეისწავლოს დაფუძნებული იურიდიული პირების საკადრო პოლიტიკა, განახორციელოს ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი, შეაფასოს იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია
 - ვ) შეისწავლოს იმ ა(ა)იპ-ების საქმიანობა, რომლებსაც არ აქვთ სათანადო მატერიალური რესურსები ფუნქციების განსახორციელებლად და გაატაროს სათანადო ღონისძიებები;
 - ზ) განიხილოს ა(ა)იპ-ებზე გადაცემული არაპროფილური და ისეთი ქონების მართვის საკითხი, რომელსაც იურიდიული პირები არ იყენებენ და გამოუყენებელი ქონება დაიბრუნოს თავის ბალანსზე და მართვის საუკეთესო პრინციპებიდან გამომდინარე, გამოიყენოს ის მუნიციპალიტეტის მიზნების შესაბამისად;

თ) შეისწავლოს და შეაფასოს ინფრასტრუქტურულ-კომუნალურ სფეროში მუნიციპალური სერვისების განხორციელების სხვადასხვა ალტერნატივა (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება) და განსაზღვროს ოპტიმალური მიდგომა მომსახურების მისაღებად;

ი) ა(ა)იპ-ების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, იურიდიული პირებისთვის ზუსტად განისაზღვროს დასახული მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რათა გაზომვადი კრიტერიუმებით იყოს შესაძლებელი ა(ა)იპ-ის საქმიანობის შეფასება.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე